პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 247 (4241)

1970 წ. 19 დეკემბერი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## დიდი გადაჭარბებით

„სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1970 წლის გეგმა-ვალდებულება: 26 სპორტის ოსტატის ნაცვლად მომზადებულია 32, სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და პირველი თანრიგის ნორმატივები შეასრულა 325 კაცმა.

გეგმა-თვითვალდებულება მეორე, მესამე და მოზარდთა თანრიგების 14000 ფიზკულტურელის მომზადებას ითვალისწინებდა, სინამდვილეში მომზადდა 19950 კაცი. ასევე დიდი გადაჭარბებით შესრულდა იმშთ, მშთ, „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად" ნიშნოსნების, საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, მწვრთნელებისა და მსაჯების მომზადების თვითვალდებულებები.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მომზადება გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა. მომზადებულია ერთი კაცი (თავისუფალ ჭიდაობაში), ხოლო ეს ნორმატივი გაიმეორა ორმა სპორტსმენმა (თავისუფალ ჭიდაობასა და მაგიდის ჩოგბურთში).

თანრიგოსნების მომზადება გრძელდება.

ა. კორინთელი,
„სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

## კრივი—71

საბჭოთა მოკრივეები ამერიკის კონტინენტზე გამოსვლით დაიწყებენ ახალ სპორტულ სეზონს. 23 იანვარს ლას-ვეგასში გამართულ ტრადიციულ მატჩში ისინი შეხვდებიან აშშ-ს ნაკრების წარმომადგენლებს. 1969 წელს სწორედ ამ ქალაქში ჩაეყარა საფუძველი ამ ორი ქვეყნის უძლიერეს მოკრივეთა შეხვედრებს. მომდევნო ასპარეზობები გაიმართა წლეულს მოსკოვსა და მინსკში.

ამის შემდეგ ტყავის ხელთათმანის საბჭოთა ოსტატები გაემგზავრებიან ბულგარეთში, სადაც 12-15 აპრილს გაიმართება ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული ცნობილი მოკრივის კ. ნიკოლოვ-სტრანჯის სახელობის თასის გათამაშება. ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები იასპარეზებენ პოლონეთში (მაისი), გდრ-ში (აგვისტო) და იუგოსლავიაში (ნოემბერი).

12 ქვეყნის ათლეტები გამოვლენ დეკემბრის პირველ ნახევარში მოსკოვის ლუჟნიკის სპორტის სასახლის სარბიელზე. ჭაბუკ მოკრივეებს ელოდება კუბა, სადაც დეკემბრის თვეში მოეწყობა სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა ტურნირი „მეგობრობა". ჩვენი კონტინენტის მოკრივეთა მთავარი ასპარეზობა იქნება მადრიდის ევროპული ჩემპიონატი, რომელიც 13-22 ივნისს გაიმართება.

საბჭოთა მოკრივეებისთვის მოეწყობა საპასუხისმგებლო შეჯიბრებები: საკავშირო პირადი პირველობა (ყაზანი, 17-26 მარტი) და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა (მოსკოვი, 20-30 ივლისი). ამას გარდა, ბევრი საერთაშორისო მატჩი ექნებათ ჩვენს მოკრივეებს: ლატვიის ნაკრები გაემგზავრება შვეციაში, რსფსრ-ს წარმომადგენლები — იტალიაში, დიდ ბრიტანეთში. უკრაინელი მოკრივეები გამოვლენ „ბაზრობათა თასზე" გდრ-ში გამართულ შეჯიბრებაში. მოსკოვის ნაკრებს უმასპინძლებს ირლანდია. სსრ კავშირში მოწვეული არიან უგანდის, ნიგერიის, სირიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები.

საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც საზღვარგარეთის უძლიერესი მოკრივეები გამოვლენ, გაიმართება რიგაში (აპრილი), ვილნიუსში (სექტემბერი) და მინსკში (სექტემბერი).

ვ. ხაჩპოვანიანი.

## საქართველოს ჩემპიონები ფარიკაობაში


მ. კოხრეიძე.


ნ. ასათიანი.


ვ. კოსტავა.


ნ. ჩიტიშვილი.

## „ხვიჩია ქართველი ბურვილია"




ამ სასიამოვნო კომპლიმენტის ავტორი გახლავთ იუგოსლავიელი დრაგან იანკოვიჩი — იუნესკოსთან არსებული სპორტული ფილმების ფესტივალების საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი, რომელიც ამ დღეებში რიგაში იმყოფება, როგორც ფესტივალის საპატიო სტუმარი.

ცნობილი ქართველი მსახიობის იპოლიტე ხვიჩიას ამგვარი შედარება განუმეორებელ ფრანგ კინოვარსკვლავთან მით უფრო საპატიოა, რომ იანკოვიჩი მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი კინომოღვაწეა.

გარდა ამისა სპორტის მოყვარულებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იანკოვიჩი გახლავთ 1936 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე. მაშინ იგი მსოფლიოს უძლიერეს მძლეოსნებთან ჭიდილში მეშვიდე იყო 400 მეტრზე თარჯრბენში.

— ვფიქრობ, რომ „ფეოლა" იპოვის გზას არა მარტო პატარა, არამედ უფროსი ასაკის მაყურებელთა გულებისკენ და არა მარტო თქვენს ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, — მეუბნება იუგოსლავიელი სტუმარი, — პირადად მე, მინდა მოველაპარაკო ფესტივალის ორგანიზატორებს დამეხმარონ ამ შესანიშნავი ფილმის შესყიდვაში, რომელსაც სიამოვნებით ვაჩვენებდი იუგოსლავიის ტელევიზიით. კარგი იქნება თუ „ფეოლას" უჩვენებენ ტელეფილმების საერთაშორისო ფესტივალზეც, რომელიც გაისად, მაისივნისში გაიმართება, იუგოსლავიაში, ბლედის ტბის სანაპიროზე. ახალგაზრდა რეჟისორ ბ. წულაძეს კარგად შეურჩევია ბავშვების ტიპები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა მეკარე. რაც შეეხება ხვიჩიას — ჭეშმარიტად მაღალკვალიფიცირებულ და საინტერესო მსახიობს, იგი ამ ფილმში ჩემის ღრმა რწმენით, თვით ბურვილის დონემდე ადის!..

როგორც ცნობილია, ფესტივალის ტრადიციისამებრ საკონკურსო ფილმების ჩვენებამდე მაყურებელთა წინაშე გამოდიან მათი ავტორები — რეჟისორები, ოპერატორები, მსახიობები.

უნდა გენახათ ბ. წულაძე ამ ცერემონიალის დროს: იგი სცენაზე უძრავად იდგა წინ გაწვდილი ხელით, რომელშიც უხერხულად ეჭირა ვიღაცის მიერ მირთმეული გლადიოლუსი. საქართველოს დელეგაციის წევრების სახეებს ღიმილმა გადაურბინა — მგონი ყველას ერთდროულად გაახსენდა გ. ქავთარაძის უბედო სასიძო, მ. კობახიძის „ქორწილიდან", რომელშიც, სხვათაშორის, ბ. წულაძეც თამაშობს ეპიზოდურ როლს.

...მაყურებელთა დარბაზში გაისმოდა განუწყვეტელი სიცილი, რომელიც „ფეოლას" ჩვენების შემდეგ მხურვალე ტაშმა შესცვალა.

— მაყურებელთა აღიარება, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ რომ გადამწყვეტი სიტყვა მაინც ჟიურის ეკუთვნის, — გვეუბნება ბ. წულაძე.

რიგელ მაყურებელთა არანაკლები მოწონება დაიმსახურა მეორე ჩვენი თანამემამულის — რ. ესაძის სრულმეტრაჟიანმა მხატვრულმა ფილმმა „წამმზომმა", რომელიც „ლენფილმის" სტუდიის მიერაა გამოშვებული.

ფილმის მთავარი გმირი ფეხბურთელი ს. ლავროვი გარეგნულად ძალიან გავს მოსკოვის „სპარტაკის" ცენტრალურ თავდამსხმელს ნ. ოსიანინს.

— იქნება მართლაც ნ. ოსიანინი გესახებოდათ მის პროტოტიპად — ვკითხეთ რ. ესაძეს.

— არამც და არამც! იყო პასუხი, — ესაა განზოგადოებული სახე. თუ ვინმე, კონკრეტულზე ვფიქრობდი გადაღების დროს, ეს „ვინმე" უფრო ე. სტრელცოვად, ი. ნეტოდ და ს. მეტრეველად წარმომედგინა. ისე კი სპარტაკელები ბევრს მეხმარებოდნენ, განსაკუთრებით კი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ს. სალნიკოვი, ნ. სიმონიანი, ძმები ნ. და ა. სტაროსტინები. „წამმზომში" მონაწილეობენ მოსკოვის „სპარტაკის" საკლუბო გუნდები. ასეთი გუნდი გადაღების დროს ჩვენს განკარგულებაში 4 იყო. ისინი აწყობდნენ ნამდვილ სპორტულ შეჯიბრებებს... ცხადია ერთგვარი კინემატოგრაფიული „განხრით". გადაღებას ვაწარმოებდით მოსკოვის ახლოს, პოდოლსკში, ადგილობრივი „ავანგარდის" სტადიონზე და ოდესაში არმიის სპორტული კლუბის სტადიონზე.

— რა მიზანი დაისახე, როგორც რეჟისორმა? მეჩვენებოდა, რომ სპორტსმენი მხოლოდ და მხოლოდ მარტო სპორტსმენი როდია. იგი ჩვეულებრივი ადამიანია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით, თავისი განცდებითა და ოცნებებით.

თბილისის უნივერსიტეტისა და კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის კურსდამთავრებულ რ. ესაძეს განზრახული აქვს გადაიღოს ფილმი ქართველ მოჭიდავეებზე.

დღეს კი იგი კოლეგებთან ერთად მოუთმენლად ელის ჟიურის განაჩენს. ქართული კინოს მოღვაწეებს კი წინ კიდევ ერთი დიდი გამოცდა ელით: ფესტივალის ბოლო დღეს, 19 დეკემბერს, რიგის სპორტულ ეკრანზე უჩვენებენ საქართველოს კინოსტუდიის ნაწარმოებს — ორნაწილიან სურათს „ფეხბურთი უბურთოდ".

როგორც იტყვიან ჰა ბურთი და... ეკრანი!

მ. კაკაბაძე, ო. ნოზაძე.
(ტელეფონით, ჩვენი სპეც კორ.).
რიგა.



მოსკოვში გაზეთ „იზვესტიას" პრიზზე გამართულ ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირში ბრწყინვალედ იასპარეზეს ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა, რომლებმაც ყველა თავიანთი მეტოქე დაამარცხეს, მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონები — საბჭოთა ჰოკეისტები. ახლახანს ჩეხოსლოვაკიელებმა უმასპინძლეს სსრ კავშირის ნაკრებს და პირველ მატჩში ქალაქ პარდუბიცეში კვლავ დაამარცხეს მსოფლიო ჩემპიონები — 5:2.

სურათზე: გაზეთ „იზვესტიას" პრიზის მფლობელი ჩეხოსლოვაკიელ ჰოკეისტთა ნაკრები გუნდი.

ვ. უნ და სინის ფოტო (საკდესი).

# ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი—ს

# ქუთაისი დიდი

## მაღალი სპორტული მაჩვენებლებით

საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადამდე დიდი დრო აღარ დარჩა. ქუთაისის მრავალათასიანი ფიზკულტურული კოლექტივი ემზადება, რათა წინა სპარტაკიადაში მოპოვებული II საპრიზო ადგილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი თასი შეინარჩუნოს.

წინა სპარტაკიადის შემდეგ ქალაქის სპორტულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს — უკვე გადაჭარბებითაა განაღდებული ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. შესამჩნევად გაიზარდა ფიზკულტურელთა რიცხვი, გაუმჯობესდა საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარების საქმე, იმატა ტურისტულ ლაშქრობებსა და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობამ, ამ წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვით მშრომელთა დასვენების სახალხო კლუბებს „კოლხიდასა" და „რიონს", ტურისტულ კლუბს „ოქროს ჩარდახს". საგრძნობლად ამაღლდა სპორტსმენთა ოსტატობის დონე, ალიზარდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო ასპარეზობათა ჩემპიონები, პრიზიორები. საქართველოს ნაკრებ გუნდებში შეყვანილია ქუთაისის 80-მდე მოზრდილი და ჭაბუკი სპორტსმენი. ამ საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ ქალაქის მოწინავე ფიზკულტურულ კოლექტივებს — ელექტრო-მექანიკური ქარხნის, ავტოქარხნის, აბრეშუმის კომბინატის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის, კოოპერაციული და სატყეო ტექნიკუმების ორგანიზაციებს.

მომავალი საიუბილეო ასპარეზობისთვის მზადება წინა სპარტაკიადის დამთავრების პირველი დღეებიდანვე დავიწყეთ. ყოველი კალენდარული თუ ამხანაგური შეჯიბრება ამ მზადების ნიშნით ტარდებოდა. ვზრუნავდით, რომ სპორტსმენების წვრთნისთვის საჭირო პირობები შეგვექმნა, გუნდებისთვის ვარჩევდით მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელთა კადრებს.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით, კარგა ხანია შექმნილია საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც აღმასკომის თავმჯდომარე უ. ცქვიტინიძე უდგას სათავეში. კომიტეტში შეყვანილი არიან პასუხისმგებელი მუშაკები.

ამჟამად ქუთაისში მიმდინარეობს შეჯიბრებები XIV საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით, რაც V საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთ საპასუხისმგებლო ეტაპს წარმოადგენს. ამ ღონისძიებას წინ უსწრებდა სპარტაკიადები ფიზკულტურის კოლექტივებსა და სპორტსაზოგადოებებში. სპორტის ცალკეულ სახეობებში შეჯიბრებები უკვე დამთავრდა, შემოწმდა ნაკრების წევრთა შესაძლებლობანი, გამოვლინდნენ ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები, რომლებიც, გვჯერა, წარმატებით გამოვლენ რესპუბლიკის საიუბილეო სპარტაკიადაში.

ქალაქის ნაკრები გუნდები ძირითადად დაკომპლექტებულია და მათ მზადებას კვალიფიციური მწვრთნელები ხელმძღვანელობენ. გამოცდილების მიღებისა და დაოსტატების მიზნით სპორტსმენები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში, მართავენ ამხანაგურ შეხვედრებს. ამ პრაქტიკამ ბევრი რამ კარგი შესძინა მშვილდოსანთა გუნდს, რომელიც სპარტაკიადისთვის ინტენსიურად ემზადება. ამ დიდ შეჯიბრებაში თავიანთ სიტყვას იტყვიან ტყვიის მსროლელები, მოჭიდავეები, მოკრივეები, ნიჩბოსნები, კალათბურთელები, მოფარიკავეები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

სპორტსმენთა დაოსტატებისთვის მთავარი მაინც სპორტული ბაზაა. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ქალაქში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. გარდა კომპლექსური საცურაო აუზისა, რომელიც რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული ნაგებობაა, აკადემიური და საბაიდარო ნიჩბოსნობის ნაკრებ გუნდებს გადაეცათ კარგად მოწყობილი წყალოსნობის სადგური. ფეხბურთის ცენტრალურ სტადიონზე დამთავრდა დამხმარე მოედნის მოწყობა. სატყეო ტექნიკუმთან აშენდა სპორტთამაშობათა დარბაზი. სპორტული დარბაზები ააგეს ქალაქის მე-2, მე-4, მე-19 საშუალო სკოლებმა.

ყველაზე სასიხარულო მაინც ის არის, რომ სულ მალე მწყობრში ჩადგება „ლოკომოტივის" მძლეოსნობის მანეჟი და ამით ამ სახეობის წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ ზამთარშიც ივარჯიშონ.

ქალაქში კიდევ ბევრი სპორტული ნაგებობების მშენებლობა მიმდინარეობს. მომავალი წლის დასაწყისში უნდა დამთავრდეს განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული თამაშების დარბაზის აგება. დაიწყო „დინამოს" ტირის რეკონსტრუქცია. კალათბურთელებისთვის კარგი საჩუქარი იქნება დახურული სტადიონი, რომელიც 900 მაყურებლისთვისაა გათვალისწინებული. ფეხბურთის ცენტრალურ სტადიონზე შენდება ოთხდარბაზიანი სპორტული ნაგებობა.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა მშენებარე ობიექტზე საქმე კარგადაა. ზოგან მშენებლობის ტემპი ძალზე ჭიანურდება. ამაში ზოგჯერ მშენებლები არიან დამნაშავენი, ზოგჯერ კი ობიექტები სამშენებლო მასალებით დროულად ვერ მარაგდება. ასეა თუ ისე, საქმე ფერხდება.

ნაკრებ გუნდებს სპარტაკიადისთვის მზადებაში ისიც უშლით ხელს, რომ სპორტინვენტარი არ კმარა. ვერსად ვშოულობთ მოფარიკავეთა იარაღს, გვაკლია კვალიფიციური მწვრთნელები ცურვაში, წყალბურთში, წყალში ხტომაში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ბაზების უქონლობის გამო ფერხდება ველოსიპედისტთა (ტრეკი), კალათბურთელთა, მოფარიკავეთა წვრთნა. მესტენდურეებს ტყვია-წამალი აკლიათ. მზადებაში ჩამორჩნენ ქუთაისის ვაჭრობის, მე-4 სამშენებლო, მე-8 ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივები.

ქუთაისის სპორტული დელეგაცია მონდომებით იმუშავებს, რათა მომზადებული ჩაებას საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადაში.

**ლ. ახვლედიანი,**
ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.



ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე თ. წიქორიძეს სპეციალისტები კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. იგი საქართველოს ნაკრებშია შეყვანილი და გულმოდგინედ ემზადება საიუბილეო სპარტაკიადისთვის.

სურათზე: თ. წიქორიძე ვარჯიშის დროს.

ჭ. ფხაკაძის ფოტო.

## მხოლოდ პირველი ადგილი

შალვა ჯაშიაშვილი ათიოდე წლის წინ საზოგადოებრივ საწყისებზე ჩაუდგა სათავეში ქალაქში მშვილდოსნობის განვითარების საქმეს. ზოგიერთ საწარმოსთან და ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მან პირველი საწვრთნელი ჯგუფები შექმნა. შემდეგ ენთუზიასტს მხარი დაუჭირა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა და საქმეც წინ წავიდა. გამოჩნდნენ სპორტის ამ უძველესი სახეობით დაინტერესებული ახალგაზრდები, რომლებიც დღითი-დღე ოსტატდებოდნენ და საუკეთესო შედეგებსაც მიაღწიეს. ახლა საქართველოს ყველა ჩემპიონი ქუთაისიდანაა.

როცა ვკითხეთ, როგორ ემზადებიან მომავალი სპარტაკიადისთვის სპორტსმენები, ქალაქის მშვილდოსანთა ნაკრები გუნდის მწვრთნელმა გვითხრა:

„მზადება კარგა ხანია დავიწყეთ. მთავარი ყურადღება გადატანილია სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებაზე. გუნდმა წლეულს ბევრ შეჯიბრებაში სცადა ძალა. ამას წინათ ჩვენები წარმატებით გამოვიდნენ ერევანში, სადაც სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავთან დაკავშირებით სამი მოძმე რესპუბლიკის — სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გუნდების მატჩი გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ მათი მეტოქეები საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები იყვნენ, ჩვენებმა 2980 ქულით I ადგილი დაიკავეს. გუნდი ძირითადად ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. ამ ინსტიტუტის ლაბორანტმა ქეთევან ლოსაბერიძემ 50, 60 და 70 მეტრზე ვარჯიშში უკან ჩამოიტოვა სომხეთის გუნდის წარმომადგენელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ო. ბუდარინა. ლოსაბერიძემ რესპუბლიკის სამი ახალი რეკორდი დაამყარა. ვაჟებში იმარჯვა ვ. სოხაძემ, რომელმაც ორ ვარჯიშში და საერთო ჯამში გამარჯვება დაისაკუთრა, 50-მეტრიან დისტანციაზე კი თავისივე რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა. ასევე თავი ისახელეს გუნდის წევრებმა გ. რიჟამაძემ, ე. არველაძემ; გ. ფაიქიძემ, ბ. ქორიძემ. ზოგიერთმა მათგანმა სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

შემდეგ ქუთაისელმა მშვილდოსნებმა უკრაინის ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა.

გუნდის ხელმძღვანელობას მშვილდოსანთა გამოცდილების გამდიდრებისა და ოსტატობის ამაღლებისთვის კიდევ მრავალ შეჯიბრებაში მონაწილეობა აქვს დაგეგმილი.

მხოლოდ პირველი ადგილი რესპუბლიკის სპარტაკიადაში! ასეთია ქუთაისელ მშვილდოსანთა მიზანი.

**ზ. ნიჟარაძე.**
(ჩვენი კორ.).

## სპორტსმ...

ქუთაისის ახალგაზრდობის სპორტული სკოლის ისტორიის დასაწყისი დიდი სამამულო ომის დამთავრებას ემთხვევა. სკოლა მოწინავე სპორტსმენთა სამჭედლოდ იქცა.

საკმარისია ითქვას, რომ აქ დაოსტატდნენ და შემდგომში ფართო სარბიელზე გავიდნენ ისეთი გამოჩენილი სპორტსმენები, როგორიც არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები, ველოსიპედისტი ომარ ფხაკაძე, კალათბურთელი ზურაბ საკანდელიძე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები გივი ჩიქვანაია, ზაურ შეყრილაძე, დიმიტრი შანიძე, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ვარლამ გიგიაძე, ტანმოვარჯიშეები ალა ჩარგეიშვილი, მერი ცნობილაძე, ავთანდილ ალფაიძე, შოთა ჩაჩხიანი, ვახტანგ გურსკი... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

წლების მანძილზე სკოლაში ახალგაზრდა სპორტსმენთა დაოსტატებას ემსახურებოდნენ ამ საქმის საუკეთესო მცოდნენი. მუდამ დაუცხრომელი რ. მირიმანოვი, სპორ-

## ცეცხლის ხაზზე

საქართველოს მეორე სპორტული ცენტრის — ქუთაისის ტყვიის მსროლელები რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებებში მუდამ წარმატებით გამოდიან. ახლა მათი მთავარი მიზანია მზადება საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადისთვის, რომელიც წინ უსწრებს სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადას.

გუნდის ხელმძღვანელობამ დროულად იზრუნა — ქალაქის ნაკრები ძირითადად დაკომპლექტებულია. მასში შედიან სპორტსმენები, რომლებმაც XIV საქალაქო სპარტაკიადაში მაღალი შედეგები მოიპოვეს.

მაგრამ სპორტსმენთა მომზადებისთვის მთავარი მაინც ბაზაა. ამ მხრივ კი ქუთაისში არასახარბიელო მდგომარეობაა. ქალაქში მხოლოდ ორი ტირია — „დინამოსი" და დოსააფისა. შედარებით უკეთესია დოსააფის ბაზა, „დინამოს" ტირი კი კეთილმოუწყობელია და იქ ერთდროულად მხოლოდ ოთხ სპორტსმენს შეუძლია მეცადინეობა. ახლახან დაიწყეს ტირის რეკონსტრუქცია, მაგრამ საქმე [illegible]

[illegible]

**ი. გირგვლიანი,**
ტყვიის მსროლელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი.

# სპარტაკიადებისთვის მზადება

# სტარტების წინ



საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ს. თორთლაძეს არა ერთი ისეთი ნიჭიერი კალათბურთელი აღუზრდია, რომლებსაც საქართველოს მოსწავლეთა და ოსტატთა გუნდების შემადგენლობაში უსახელებიათ თავი. ახლა ქუთაისში თორთლაძის ხელმძღვანელობით სპორტის ამ სახეობის ანბანს ათობით ბავშვი ეუფლება.

ს უ რ ა თ ზ ე: ს. თორთლაძე მორიგ მეცადინეობაზე.

ჯ. ფხაკაძის ფოტო.

## ...ენთა სამჭედლო

...ს დამსახურებული ოსტატი ა. ...რჯაძე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ი. ბობოხიძე და ი. მარქაროვი სკოლაში მისი ...არსებიდან მოღვაწეობენ. ახალ...ზრდებს თავიანთ მდიდარ გამოცდილებას გადასცემენ, აგრეთვე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები გ. ბოგდანოვი, გ. ჩი...ვანი, ე. ალიშანოვი, ვ. გიგიაძე, ... მეფისაშვილი, ი. თავდიდიშვილი...

...სკოლაში მომზადდა ერთი საერთაშორისო სპორტის ოსტატი და ...-მდე სპორტის ოსტატი, ...-ზე მეტი პირველთანრიგოსანი...

ამჟამად სკოლაში მუშაობს 30 მწვრთნელი ჯგუფი, რომლებშიც ...-ზე მეტი სპორტსმენია გაერთიანებული. მათ შორის 20 სპორტის ოსტატი და 25 სპორტის ოსტატობის კანდიდატია.

...შარშან გაიხსნა ნორჩ კალათბურთელთა განყოფილება, სადაც ...-ზე მეტი მოზარდი იწვრთნება. ...ოლის მიზანია ქართულ კალათბურთს აღუზარდოს ისეთი ოსტატები, რომლებიც წარმატებით დაიცავენ მის ღირსებას საკავშირო ... საერთაშორისო სარბიელზე. ...ის ტრადიცია სასწავლებელს აქვს ... იმედია არც მომავალში დაკარგავს.

ჩვენს სკოლაში სწავლობენ მძლეოსანთა, მოჭიდავეთა, ძალოსანთა, კალათბურთელთა, აკადემიური და საბაიდარო ნიჩბოსნობის ოსტატთა ნაკრები გუნდების წევრები. ვცდილობთ მათ სისტემატური წვრთნისთვის ყველა პირობა შევუქმნათ, რათა გარკვეული წვლილი შეიტანონ საიუბილეო სპარტაკიადაში ჩვენი ქალაქის სპორტული დელეგაციის საერთო წარმატებაში. მწვრთნელები სპორტსმენებთან ინდივიდუალური გეგმით მეცადინეობენ. წინასწარ ვითვალისწინებთ, თითოეულ მათგანს სპარტაკიადაში როგორი შედეგის მოპოვება შეუძლია.

კარგად გვესმის, რომ შეჯიბრებების გარეშე სპორტსმენის წინსვლა, დახელოვნება შეუძლებელია. ამიტომ სპარტაკიადამდე დაგეგმილი გვაქვს, რომელმა მათგანმა რა სახის შეჯიბრებებში უნდა მიიღოს მონაწილეობა. ამასთან, საწვრთნელი მუშაობის მაღალხარისხოვნად წარმართვის მიზნით, მჭიდრო კავშირი გვაქვს საქალაქო ფედერაციებთან ცალკეული სახეობების მიხედვით.

გათვალისწინებული გვაქვს ერთი კარგი ღონისძიებაც: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ნაკრები გუნდების წევრთა ძალებით ქალაქის საწარმოებში, მეზობელ რაიონებში მოვაწყოთ საჩვენებელი გამოსვლები, ჩავატაროთ ლექცია-მოხსენებები, ვაჩვენოთ დოკუმენტური სპორტული ფილმები.

ქუთაისელი ახალგაზრდობის მოთხოვნილება ძალზე გაიზარდა, სპორტსკოლაში არსებული ჯგუფების რაოდენობა კი ამ მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებს. დებულების მიხედვით, სპორტულ სკოლას უფლება აქვს ძირითად ჯგუფებში მეცადინეობა ჩაატაროს კვირაში ოთხხუთჯერ (თითოეული მეცადინეობა 4 აკადემიურ საათს მოიცავს). მოწინავე სპორტსმენთა აღზრდა ხხვაგვარად მართლაც შეუძლებელია. დახელოვნების ჯგუფებში კი ექვსჯერადი მეცადინეობაცაა საჭირო. ამ მეთოდით მუშაობენ დღეს თბილისის ახალგაზრდობისა და უმაღლესი დახელოვნების სპორტული სკოლები. ჩვენ კი მხოლოდ იმის შესაძლებლობა გვაქვს, რომ კვირაში სამჯერადი მეცადინეობა ჩავატაროთ (სამ-სამი აკადემიური საათი). ვფიქრობთ, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, რომლის მხარდაჭერითაც ყოველთვის ვსარგებლობთ, ამ საკითხშიც დახმარებას აღმოგვიჩენს. ამ საქმის მოგვარება ჩვენი სკოლისთვის საუკეთესო საჩუქარი იქნება მისი 25 წლისთავის საიუბილეო თარიღთან.

**ს. თორთლაძე,**
სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ქუთაისის ახალგაზრდობის სპორტული სკოლის დირექტორი.

## ნაკლოვანებები უნდა გამოსწორდეს

წყალბურთელები ქუთაისში კომპლექსური საცურაო აუზის გახსნის პირველი დღეებიდანვე შეუდგნენ ინტენსიურ წვრთნას. ვარჯიშის შედეგად მათი ტექნიკური და ფიზიკური მომზადების დონე შესამჩნევად ამაღლდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაკრები გუნდის წევრები გ. შარაშენიძე, მ. ფილია, გ. ქუთათელაძე, მეკარე გ. ჭეიშვილი კარგ სპორტულ ფორმაში არიან.

სპარტაკიადისთვის ნაკრების საიმი შემადგენლობა ემზადება. მათგან შევარჩევთ საუკეთესოებს. ჯერჯერობით ოთხჯერადი მეცადინეობით ვკმაყოფილდებით.

კარგად მომზადებაში ბევრი რამ გვიშლის ხელს, მაგალითად; არ გვყოფნის სპორტული ინვენტარი. წყალბურთის თანამედროვე ტიპის ბურთიც კი ვერსად ვიშოვნეთ. ხშირია შემთხვევა, რომ აუზში წყლის ტემპერატურა არ შეეფარდება საჭირო დონეს. ელექტრომექანიკური ქარხნის დირექცია ალბათ მეტ გულისხმიერებას გამოიჩენს და საწყლოსნო სახეობების გუნდებს წყლის გათბობით წვრთნის ნორმალურ პირობებს შეუქმნის.

სპორტსმენთა უკეთ მომზადებისთვის საჭიროა ტურნირები ხშირად გაიმართოს, მაგრამ ჩვენ ამ მხრივაც გვეშლება ხელი. აგვისტოში ჩვენთან წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ჩატარება იყო დაგეგმილი, მაგრამ რატომღაც შეჯიბრება სოხუმში გადაიტანეს. სოხუმში, სადაც საქართველოს პირველობა ჩატარდა, ქუთაისის გუნდი არც კი გამოიძახეს, თუმცა ჩემპიონატში ჩვენს კოლექტივზე სუსტი გუნდები მონაწილეობდნენ.

სააბონემენტო ჯგუფებით აუზი საგრძნობლად გადაიტვირთა და საწვრთნელ ჯგუფებს სავარჯიშო დრო იშვიათად რჩებათ. კარგი იქნება, თუ სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში სპორტულ ჯგუფებს უფრო მეტ დროს დაუთმობენ.

ქუთაისელი წყალბურთელები სპარტაკიადამდე რამდენიმე ამხანაგურ შეჯიბრებას გამართავენ და შეეცდებიან რესპუბლიკის საიუბილეო სპარტაკიადაში საპატიო ადგილი დაიკავონ.

**დ. ხორავა,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.



ქუთაისში საცურაო აუზების უქონლობის მიუხედავად რამდენიმე ისეთი წყალბურთელი აღიზარდა, რომლებიც საქართველოს საუკეთესო გუნდებში დამკვიდრდნენ. რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრში „გაზთიადის“ აუზის აგებამ წყალბურთის განვითარებაში ახალი პერსპექტივები დასახა. ახლა ქუთაისელი სპორტსმენები ენერგიულად ემზადებიან საქართველოს სპარტაკიადისთვის.

ს უ რ ა თ ზ ე: ახალ აუზში მორიგი ვარჯიშის დროს.

ჯ. ფხაკაძის ფოტო.

## დინამოელთა წვლილი

...საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს „დინამოს“ ქუთაისის საქალაქო საბჭო ახალ-ახალი მიღწევებით ხვდება.

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის შემდეგ განვლილ სამ წელიწადში ნაცვლად 12-სა 26 სპორტის ოსტატი მოვამზადეთ. დიდი ...ნით შევასრულეთ ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები. გადაჭარბებითაა განაღდებული წლევანდელი დავალება-ვალდებულებანიც. ...ნაყოფიერად მუშაობენ ფიზკულტურის კოლექტივები, რომლებსაც ... გაჩეჩილაძე, ლ. ადეიშვილი, ს. ...ნძელია და ბ. ჯაფარიძე უდგანან ...თავეში.

...თუ 5-6 წლის წინათ ჩვენს უწყებაში სპორტის სულ რამდენიმე სახეობა იყო დანერგილი, დღეისთვის ... რიცხვი 27-მდე გაიზარდა. რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მაღალი შედეგებით გამოდიან დინამოელი კალათბურთელები, ტყვიის მსროლელები, კლასიკური სტილის მოჭიდავეები, ტანმოვარჯიშეები, მოფარიკავეები. „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობაში ჩვენმა კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდებმა, აგრეთვე, მოკრივეებმა ჩემპიონობა მოიპოვეს.

წინასწარი მონაცემებით, მომავალ, საიუბილეო რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ქუთაისის სპორტულ ღირსებას 100-მდე დინამოელი დაიცავს.

ახლა, როცა ჩვენს ქალაქში საწყლოსნო სახეობების განვითარების პირობები შეიქმნა, „დინამოს“ საქალაქო საბჭოსთან ჩამოვაყალიბეთ ცურვის, წყალში ხტომის, წყალბურთის სექციები. გუნდებს სათავეში ჩაუდგნენ კვალიფიციური მწვრთნელები.

**ა. ჩოგოვაძე,**
„დინამოს“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

## ხალიჩაზე მოჭიდავეები არიან

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი კარგა ხანია დაკომპლექტდა. რა თქმა უნდა, მისი საბოლოო სახე უფრო გვიან გამოიკვეთება, მაგრამ ძირითადად უკვე ვიცით, ვინ დაიცავს საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადაში ქუთაისის ღირსებას.

გუნდში შევიდნენ სსრ კავშირის პირველობის პრიზიორი, სპორტის ოსტატი ბ. ლეკვეიშვილი, „ოლიმპიური იმედის“ ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ა. გოგლიჩიძე, ახალგაზრდა მოჭიდავე ე. ლელაძე და სხვები. განსაკუთრებულ იმედს ვამყარებთ ბ. ლეკვეიშვილსა და ე. გოგლიჩიძეზე, რადგან ისინი საუკეთესო ტექნიკისა და ტაქტიკის სპორტსმენები, დიდი შრომისმოყვარეობითაც გამოირჩევიან.

მეცადინეობა კვირაში ხუთჯერ ტარდება. ტექნიკური ილეთების დაუფლებისთვის მოჭიდავეები „დინამოს“ დარბაზში ვარჯიშობენ. ერთი დღე სპორტულ თამაშობებს ეთმობა.

ჩვენმა მოჭიდავეებმა ახლახან ჩატარებულ რესპუბლიკურ ჩემპიონატში საუკეთესო მომზადება გამოავლინეს. კიდევ უფრო დასტატებისთვის რამდენიმე ამხანაგური შეხვედრაა დაგეგმილი.

**ი. ბოგოხიძე,**
კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

## ჩვენც ვემზადებით

...საავტომობილო ქარხნის სპორტული კლუბი „კოლხიდა“ ათასობით ფიზკულტურელს აერთიანებს.

ქარხნის სპორტულ ბაზებზე ხშირად ეწყობა შიდასაკოლექტივო პირველობები, ამხანაგური შეხვედრები...

სპორტული მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ ხანს, როცა მთელს ჩვენს რესპუბლიკაში გაცხოველებით ემზადებიან საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადისთვის. შეჯიბრებები ჩატარდა ცალკეულ საამქროებსა და განყოფილებებში. გამარჯვებულებმა მონაწილეობა მიიღეს მე-17 შიდასაქარხნო სპარტაკიადაში.

შემდეგ ქარხნის სპორტსმენები „გაზთიადის“ საქალაქო სპარტაკიადაში გამოვიდნენ და გუნდური I ადგილიც დაისაკუთრეს.

**ნ. ქორიავა,**
ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის შასის საამქროს ხარატი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი თავისუფალ ჭიდაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი




# უკეთ თამაშის უნარი შესწევთ

**თბილისი. სპორტის სასახლე. 16 დეკემბერი. „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 48:66 (19:35). მსაჯები: ვ. პივოვაროვი (კიევი), ვ. რუჩინსკასი (კაუნასი). დუბლიორები — 89:60 (49:22).**

სატურნირო ცხრილში არ არის გუნდი, წაგებათა გრაფა სუფთა რომ ჰქონდეს. ეს მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი თავისებურებაა, თუ გნებავთ, ღირსებაც. იგი, ამავე დროს, ცხადყოფს, რომ ჩვენს კალათბურთში თანდათან ქრება ზღვარი ძლიერებსა და სუსტებს შორის. უბრალოდ, აღარ არიან აბსოლუტურად ძლიერი გუნდები, ისევე როგორც აღარ არიან გამოკვეთილი აუტსაიდერები.

ასეთ პირობებში ქულის დაკარგვას აღარ ეძლევა ისეთი საგანგებო მნიშვნელობა, როგორიც ადრე.

ამიტომ ყოვლად გაუგებარი იყო ის სიფრთხილე და, თუ გნებავთ შიში, რომლითაც თბილისის „დინამომ" საანგარიშო შეხვედრა დაიწყო. გასაკვირიცაა და საწყენიც, რომ გუნდის შემადგენლობა ამ პასუხსაგები მატჩის წინ სერიოზულად დაზარალდა. მაგრამ ამ გარემოებას მოთამაშეებში უფრო სხვაგვარი რეაქცია რომ გამოეწვია, მესაძლოთა ბრძოლის შედეგიც სხვა ყოფილიყო. ზოგჯერ რაიმე მნიშვნელოვანი დანაკლისი გუნდს საგანგებოდ განაწყობს და მობილიზაციის უნარს უღვიძებს. ასეთ პირობებში თითქოსდა განწირულთა დაოკება ვერც ხერხდება.

გულახდილად უნდა გითხრათ, სწორედ ეს გავიფიქრეთ, როცა ბოლქვაძის, უგრეხელიძისა და მოსეშვილის ავადმყოფობის ამბავი შევიტყვეთ. შესაძლოა მატჩამდე დინამოელებიც ასე ფიქრობდნენ, მაგრამ შეხვედრის მსვლელობამ სულ სხვა სურათი დაგვანახა.

იმის მტკიცება, რომ „დინამო" უკეთეს პირობებში სასურველ შედეგს უეჭველად მიაღწევდა, რა თქმა უნდა, უაზრობაა. მაგრამ ერთი რამ ცხადია — თბილისელებს უკეთ თამაშის უნარი აშკარად შესწევთ.

ამ დღეს მორალური ფაქტორი ერთადერთი და გადამწყვეტი მიზეზი იყო მარცხისა. თუმცა ვიმეორებთ, ამ შედეგს სრულიად არ ჰქონდა ობიექტური საფუძველი. „სპარტაკი" უდავოდ კარგი გუნდია, მაგრამ მას, ჩვენის აზრით, ჩემპიონატში არაერთი უსიამოვნო მატჩი მოელის. იმიტომ, რომ სადღეისოდ არც ერთი გუნდი არ არის დაზღვეული მარცხის საშიშროებისგან, იმიტომ, რომ კალათბურთელთა ოსტატობა საგრძნობლად გაიზარდა და აღარავინ ურიგდება მორჩილად თავის ბედს. საწყენი მხოლოდ ის არის, რომ თბილისის „დინამომ" დროზე ვერ დააღწია თავი ფსიქოლოგიურ შოკს და ეს გახდა მიზეზი მისი მარცხისა.

**ნ. გუგუშვილი.**

● „სტროიტელმა" სული მოითქვა
● კარგი მასპინძლები

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

**კიევი.** წარუმატებელი ტურნეს შემდეგ „სტროიტელი" ბოლოს და ბოლოს შინ დაბრუნდა და ოდნავ მოითქვა სული — სატურნირო ცხრილში ნანატრი ქულა ჩაიწერა. მაგრამ ეს ქულა ძნელი და ერთობ მძაფრი ბრძოლის შემდეგ მოვიდა. უკრაინელი კალათბურთელების გამარჯვების საკითხი დიდხანს სათუო იყო და მხოლოდ მატჩის მიწურულში გახდა ცხადი, რომ ამჯერად თავაწეული გავიდოდნენ მოედნიდან. მაგრამ შედეგით არც რიგის არმიელები უნდა იყვნენ უკმაყოფილო — 7 ქულით დამარცხება (63:70) კიევში, არც ისე იოლი საქმეა.

**მინსკი.** ადგილობრივმა რტი-მ კარგი მასპინძლობა გაუწია მოსკოვის „დინამოს". ქულა, რომელიც დედაქალაქის კალათბურთელებმა მიიღეს, ამის აშკარა დასტურია — 77:69.

## გათამაშების ცხრილი
### ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 18 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 8 | 7 | 1 | 538—456 | 7 |
| ცსკა | 6 | 5 | 1 | 454—407 | 5 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 7 | 4 | 3 | 533—517 | 4 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 6 | 4 | 2 | 472—458 | 4 |
| „დინამო" (თბილისი) | 6 | 4 | 2 | 470—463 | 4 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 7 | 4 | 3 | 466—462 | 4 |
| „კალევი" (ტარტუ) | 7 | 3 | 4 | 548—517 | 3 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 6 | 3 | 3 | 456—473 | 3 |
| ასკ (კიევი) | 7 | 2 | 5 | 482—510 | 2 |
| ვეფ (რიგა) | 7 | 2 | 5 | 535—588 | 2 |
| ასკ (რიგა) | 6 | 1 | 5 | 392—435 | 1 |
| რტი (მინსკი) | 7 | 1 | 6 | 451—501 | 1 |

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

# 15 ტურის შემდეგ

**რიგა, 17 დეკემბერი.** საფინიშო იერ-ცხელების მოახლოვებასთან ერთად სულ უფრო მწვავე ბრძოლები გაჩაღდა მოჭადრაკე ვაჟთა 38-ე ჩემპიონატის ფინალში.

XIV ტურში მორიგი გამარჯვება იზეიმა სსრ კავშირის ექს ჩემპიონმა ლ. შტეინმა (კიევი), რომელმაც დაამარცხა თ. მოისეევი (მოსკოვი). ვ. ანტოშინმა (მოსკოვის ოლქი) მოუგო ვ. კარასიოვს (ლენინგრადი), თ. დემენტიევმა (კალინინგრადი) — ი. პლატონოვს (კიევი). ყაიმით დამთავრდა ი. ავერბახ (მოსკოვი) — ა. გიპსლისის (რიგა) და ვ. ტუკმაკოვ (ოდესა) — ი. ბალაშოვის (მოსკოვი) პარტიები. მ. ცეიტლინ (ლენინგრადი) — ვ. სავონის (ხარკოვი), ვ. ლიბერზონ — რ. ხოლმოვის (ორივე — მოსკოვი), ვ. კორჩნოი (ლენინგრადი) — ვ. დოროშკევიჩის (გროზნო), ვ. მიკენას (ვილნიუსი) — მ. პოდგაეცის (ოდესა), რ. ვაგანიან (ერევანი) — ვ. ბაგიროვის (ბაქო) და ა. კარპოვ (ლენინგრადი) — ი. ზაიცევის (მოსკოვი) შეხვედრები გადაიდო.

XV ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონატის დაუმარცხებელი მონაწილენი, პოდგაეცი და ტუკმაკოვი. შეჯიბრების ერთპიროვნულმა ლიდერმა ტუკმაკოვმა პირველი მარცხი იწვნია. გიპსლისმა მოუგო პლატონოვს, კარასიოვმა — მოისეევს, დემენტიევმა — კარპოვს სავონ — ლიბერზონის, ხოლმოვ — კორჩნოის და ზაიცევ — ვაგანიანის შეხვედრები ყაიმით დასრულდა. ბალაშოვ — შტეინის, ანტოშინ — ცეიტლინის, დოროშკევიჩ — ავერბახისა და ბაგიროვ — მიკენასის პარტიები გადაიდო.

15 ტურის შემდეგ ტუკმაკოვს 10,5 ქულა აქვს, კორჩნოის — 10 ქულა და 1 გადადებული პარტია, შტეინს — 9 (2), პოდგაეცს — 9 (1).

# რანიკე თუ კუშნირი?

**ბელცი, 17 დეკემბერი.** ფინიშის სიახლოვე იგრძნობა მოჭადრაკე ქალთა 30-ე ჩემპიონატის ფინალშიც. მოჭადრაკენი ფრთხილობენ და ხშირად რისკს ერიდებიან. ამით უნდა აიხსნას, რომ XVI ტურში მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. ლ. სტარჩენკომ (ალმა-ათა) დაამარცხა თ. ზაიცევა (მოსკოვი). ყაიმით დამთავრდა ნ. კონოპლიოვა (მოსკოვი) — ლ. სემიონოვას (ხმელნიცკი) და ლ. საუნინა (სვერდლოვსკი) — ვ. უშაკოვას (ნოვოსიბირსკი) შეხვედრები. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

შედგა XV ტურიდან გამოტოვებული პარტია მოსკოველ ლ. ბელავენეცსა და თბილისელ მ. სანაძეს შორის. მეტოქეებმა სხვადასხვა მხარეს გააკეთეს როქი და აქტიური ოპერაციები დაიწყეს. მოსკოველი უტევდა. სანაძე ცუდად იცავდა თავს, მატერიალურად დაზარალდა და 21-ე სვლაზე დამარცხდა.

16 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: მ. რანიკეს (ტალინი) 11 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ა. კუშნირს (მოსკოვი) — 10,5 (2), კონოპლიოვას — 10, სემიონოვას — 9, საუნინას — 8 (2), ტ. ლემაჩკოს (მოსკოვი) — 8 (1).

## ფინიშის ზღურბლთან

**ლიეპაია, 18 დეკემბერი.** ფინიშს უახლოვდება საკავშირო ჩემპიონატი რუსულ შაშში. გათამაშებას ლიდერობენ ი. კუსტარიოვი (ლენინგრადი) და ვ. ვიგმანი (რიგა), რომელთაც 9-9 ქულა აქვთ 15 შესაძლებლიდან. ლიდერებს დაუახლოვდნენ დიდოსტატი ი. არუსტამოვი (ბაქო) და ვ. ცუკერნიკი (ლენინგრადის ოლქი) — 8-8 ქულა. სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი ვ. გაბრიელიანი (ბაქო) მეთხუთმეტე ტურში დამარცხდა ი. კუზიუკოვთან და ფაქტიურად გამოეთიშა ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

# პრეტენდენტთა ბრძოლებამდე

პალმა დე მალიორკის საზონათშორისო ტურნირმა კიდევ უფრო შეამცირა მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკისთან მატჩში შეხვედრის პრეტენდენტთა რიცხვი. ახლა მეტი კონკრეტულობით შეიძლება ლაპარაკი, ვისი წარმატება უფრო მოსალოდნელია. ამ მხრივ დიდ მოჭადრაკეთა შეხედულებები მაინცდამაინც არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

ვ. კორჩნოის მიაჩნია, რომ სპასკის მეტოქე იქნებიან ან რ. ფიშერი, ან ტ. პეტროსიანი. ამასვე ამბობს ბულგარელი დიდოსტატი მ. ბობოცოვი. არგენტინელი დიდოსტატი მ. ნაიდორფი ასე მსჯელობს: ყველაფერს გადაწყვეტს პეტროსიან — ფიშერის მატჩი. მართალია, ამერიკელ მოჭადრაკეს მატჩების თამაშის გამოცდილება არა აქვს, მაგრამ სპასკის მაინც იგი შეხვდებაო.

ყოველივე ეს საკმარისია, რომ წინასწარ ივარაუდო მეოთხედფინალურ მატჩებში გამარჯვებულთა ვინაობა. ახლა სწორედ ეს ორთაბრძოლები იზიდავენ ყველაზე მეტად ყურადღებას.

პეტროსიანი არასოდეს შეხვედრია კიოლნელ სტუდენტს რ. ჰიუბნერს. თვით ჰიუბნერს იმედი გადაწურული აქვს. მან ჟურნალისტებს უთხრა: ნეტავ ლარსენი, ფიშერი ან სხვა ვინმე შემხვედროდაო. რა თქმა უნდა, პეტროსიანის დიდი გამოცდილება და ძალა მატჩის მოგების უტყუარი საწინდარია.

— ფიშერს პირველად თერთმეტი წლის წინათ ბუენოს-აირესში შევხვდი. პარტია ყაიმით დავამთავრეთ. მეორედ პალმა დე მალიორკაში ვითამაშეთ, სადაც დავმარცხდი, — თქვა მ. ტაიმანოვმა, რომელიც მატჩში ამერიკელ დიდოსტატს უნდა შეხვდეს.

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ფიშერი გაიმარჯვებს. დიდი შემართება მაინც თავისას გაიტანს, თუმცა ფიშერს მატჩების თამაშის გამოცდილება არა აქვსო.

ვ. ულმანი და ბ. ლარსენი ძველი მეტოქენი არიან. მათი შეხვედრების საერთო ანგარიშია 3:3. ეს განაპირობებს მძაფრ ჭიდილს. ისიც უნდა ითქვას, რომ ლარსენი ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი. გაზეთების კორესპონდენტებს მან უთხრა, მე მოვიგებ პრეტენდენტთა მატჩებს და სპასკისაც მე შევხვდებიო. საინტერესოა, რომ მსოფლიო პირველობის წინა ციკლშიც დანიელი დიდოსტატი ასევე დაიმედებული იყო, მაგრამ სპასკიმ მოუგო.

ყველაზე ძნელი და დამქანცველი ბრძოლაა მოსალოდნელი კორჩნოი — ე. გელერის მატჩში, რადგან ორივე დიდოსტატს მსოფლიო პირველობაზე თამაშის მდიდარი გამოცდილება აქვს.

პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები მოკლემეტრაჟიან ფილმებს ჰგავს: თითოეულ მატჩში ათი პარტია უნდა გათამაშდეს. ეს არც ცოტაა, მაგრამ არც ბევრი. ასეთ მატჩში დიდი მნიშვნელობა აქვს სტარტს.

ამბობენ, მეოთხედფინალური მატჩები 1971 წლის მაისში დაიწყებაო. მანამდე უნდა შედგეს ვ. სმისლოვ — ლ. პორტიშის მატჩი, რომელიც პრეტენდენტობის პირველ კანდიდატს გამოავლენს. ეს ორთაბრძოლაც გარკვეულ ინტერესს იწვევს. პალმა დე მალიორკის ფინიშზე სმისლოვი ისე თამაშობდა, რომ კინაღამ ექვსეულში მოხვდა. პორტიში კი ფინიშზე ძალიან დაზარალდა: ვერ მოუგო ფილიპინელ ს. ნარანიას და დამარცხდა კუბელ ე. ხიმენესთან. ამიტომ თქვა ლარსენმა: ჩემთვის ისიც მოულოდნელი იყო, რომ პორტიში პრეტენდენტთა ტურნირში ვერ მოხვდაო.

გაზაფხულზე ფიდეს-ს კონგრესმენები საგანგებოდ შეიკრიბებიან, რათა იმსჯელონ და დაამტკიცონ მეოთხედფინალური, ნახევარფინალური და ფინალური მატჩების განრიგი (ყველა ეს მატჩი უნდა დამთავრდეს 1971 წლის სექტემბერში, რათა პრეტენდენტს ბ. სპასკისთან მატჩისთვის მომზადების დრო ჰქონდეს), აგრეთვე, მათი გამართვის ადგილი.

**თ. გიორგაძე.**

სპორტის სასახლე

23-24 დეკემბერი

გამოჩენილი ქართველი ფალავნის სანდრო კანდელაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი

## საქართველოს აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში



მონაწილეობენ — ცნობილი ფალავნები: შ. გულიაშვილი, შ. ჩოჩიშვილი, ო. ქიბროწაშვილი, გ. თანდელოვი, გ. ონაშვილი, რ. ოდიშელიძე, ნ. ზაზუნიშვილი, ა. მალალთაძე და სხვ.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი — სსრ კავშირის მრავალგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ა. მეკოკიშვილი.

დასაწყისი 12 ს. და 20 ს.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

## ႠႾႠႪႨ ႠႫႡႤႡႨ

● **ტამპერე, 16 დეკემბერი** აქ სტუმრად მყოფმა შვეციის ჰოკეისტთა ნაკრებმა სძლია ფინეთის ეროვნულ გუნდს — 8:4. მასპინძელთა კარში 2-2 შაიბა გაიტანეს ბ. კარლსონმა, ჰამერსტრემმა, ლინდბერგმა და ნილსონმა. ეს გუნდები განმეორებით შეხვედრას ჩაატარებენ ჰელსინკში.

● **ბერლინი, 16 დეკემბერი.** მაგდებურგსა და შვერინში ერთდროულად დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 7 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. შვერინში მოსკოვის ნაკრებმა სძლია გდრ-ის მეორე ნაკრებს — 18:14, რუმინელებმა — პოლონეთის ეროვნულ გუნდს — 18:12. მაგდებურგში შეხვედრები ასე დამთავრდა: უნგრეთი — ჩეხოსლოვაკია 20:17, გდრ — ავსტრია 30:12.

● **ადის-აბება, 17 დეკემბერი.** ვოროშილოვგრადის „ზარიას" ფეხბურთელებმა დაამთავრეს თავიანთი ტურნე ეთიოპიაში. სტუმრებმა ბოლო მატჩი ჰქონდათ ამ ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ნაკრებთან. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 3:1.

● **ტალინი, 17 დეკემბერი.** მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი ძალოსნობაში, ესტონელი ი. ტალტსი დასახელებულია ესტონეთის საუკეთესო სპორტსმენად მიმდინარე წელს.

● **მინსკი, 17 დეკემბერი.** ბელორუსიის დედაქალაქში დამთავრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 6 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ს. დურიანმა, ტ. პოკიდაევმა (ორივე — სსრ კავშირი), ო. მარტინესმა (კუბა), ა. ნიკიტენკომ (სსრ კავშირი), ვ. პრევოლსკიმ (ბელორუსია), ლ. ტლოუბაევმა (სსრ კავშირი), ა. ბერეზიუკმა (ბელორუსია), ო. ტოლკოვმა (სსრ კავშირი), ვ. სოკოლოვმა (ბელორუსია), ვ. მეტილიოვმა, ვ. ულიანიჩმა (ორივე — სსრ კავშირი).

● **მოსკოვი, 17 დეკემბერი** საერთაშორისო შეხვედრების გასამართავად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრა სსრ კავშირის ჰოკეისტთა ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც ევროპული ჩემპიონატის დაწყებამდე (27 დეკემბერი) რამდენიმე მატჩს გამართავს ადგილობრივ გუნდებთან.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 13362